საქართ. მემარცხენე სოც-ფედერალისტთა რევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 189, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ 362 ოთხშაბათს, დეკემბრის 6 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

ოთხშაბათს 6 დეკემბერს

ა. ი. სუმბათაშვილის პატივსაცემლად

აბესალომ და ეთერი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ. კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

№ 166. 1—1

## განიარაღების პრობლემა

ევროპიულ ომმა ძალზე დაქანცა მებრძოლი სახელმწიფოები. ომმა იმსხვერპლა დიდძალი რაოდენობა როგორც ცოცხალი ძალების, ისე მატერიალური კულტურის; კაპიტალისტური ქვეყნები უკვე განიცდის მწვავე შებრძოლებათა შედეგებს.

დღეს საერთაშორისო მასშტაბით სდგას მშვიდობიანობის, ზავის და „ხალხთა შორის სათნოების" დამყარების საკითხის გადაჭრის აუცილებლობა. კაპიტალიზმი არ ეგუება ცხოვრების იდილიურ მიმდინარეობას. იგი შფოთის, ბრძოლის და იმპერიალიზმის ფილოსოფიაა. მშვიდობიანობა და ზავი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება კაპიტალისტური სისტემის, ბურჟუაზიული რეჟიმის განვითარების წინააღმდეგ. ამიტომ, სრულიად ბუნებრივად, დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოებმა კრინტი ვერ დასძრა თუ გინდ დროებითი მშვიდობიანობაზე, რომლის საფუძველს წარმოადგენს სამხედრო განიარაღება.

განიარაღების საკითხი წამოიჭრა ამერიკის ინიციატივობით. ამერიკა გამოვიდა მშვიდობიანობის მქადაგებელი. განიარაღების საკითხი კაპიტალისტური ამერიკის წინადადებით დაისვა ვაშინგტონის კონფერენციაზე.

რამ აიძულა ამერიკის კაპიტალი სამშვიდობო ენაზე დაეწყო ლაპარაკი? პასუხი ნათელია: ამერიკა დაინტერესებული ქვეყანაა ევროპიულ კონტინენტზე ზავის ჩამოგდების საქმეში.

ევროპიულ ბრძოლის პროცესში მებრძოლი ქვეყნები დიდძალ მატერიალ და ეკონომიურ-ფინანსიურ დახმარებას, ხარჯების დაფარვას, საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოითხოვდა. ყოველი შემაფერხებელი მომენტი საბედისწერო მნიშვნელობის მქონე იყო ევროპის გოლიათებისათვის. საომარ ტეხნიკის განვითარების, ტყვია-წამლების და თოფ-ზარბაზნების მოწესრიგება—მოგვარება წარმოადგენდა მეომარ ძალების ყურადღების მთავარ ფოკუსს. წარმოება დაეცა. ფაბრიკა-ქარხნებმა მიიღო უმეტესად სამხედრო დანიშნულების ხასიათი.

არსებითად საწინააღმდეგო მოვლენებს ჰქონდა ადგილი შეერთებულ შტატებში ევროპიულ ომის განმავლობაში.

ევროპა ეკონომიურად იშლებოდა, ნიავდებოდა, ლატაკდებოდა, ეცემოდა ევროპიული კულტურა და ჯუმბარების ჯირითში ნადგურდებოდა საუკუნოების განმავლობაში დაგროვილი სიმდიდრე. ევროპის დეკადანსის პარალელურად ვითარდებოდა ამერიკის ეკონომიური წარმატება. შეერთებულ შტატებს არ მიუღია ბრძოლაში მონაწილეობა. მან დაიკავა ნეიტრალიტეტი ყველა მეომარ სახელმწიფოების მიმართ. ნეიტრალ პოზიციის დაკავებით ამერიკამ მიაღწია ეკონომიურ ევოლიუციის მიზნებს: განავითარა კაპიტალისტური წარმოება, ფართო ასპარეზი გაუხსნა მრეწველობას და დიდად განავითარა ექსპორტის საქმე.

სად მიდიოდა ამერიკის საქონელი, ამერიკული ოქრო? რა თქმა უნდა—ევროპაში. ევროპა წარმოადგენდა ამერიკულ ნაწარმოების ვრცელ ბაზას. სამხედრო საჭიროების მნიშვნელობის ხასიათის მქონე მასალებს ევროპა ამერიკიდან ღებულობდა უმთავრესად. ამას მოყვა შედეგად საყოველთაოდ ცნობილი მოვლენა: ევროპის დავალიანება, ამერიკის მსხვილ კრედიტორის ფიგურაში ჩამოყალიბება.

ომი დასრულდა. ამერიკამ წარუდგინა როგორც დამარცხებულ, ისე გამარჯვებულს სახელმწიფოებს გასანაღდებელი თამასუქები. რა გზით აანაზღაურებდა ევროპა ვალებს? წარმოების აღორძინებით, განვითარებით, რენესანსით. ამისათვის კი საჭირო იყო მთავარი პირობის დაცვა. ეს პირობა განიარაღებაში გამოიხატებოდა.

მაშასადამე, განიარაღების საკითხის ამერიკის მიერ წამოყენება სრულიად არ არის კაპიტალის ჰუმანიური და ალტრუისტული მოსაზრება. ყოველი ქვეყნის კაპიტალისტური მაგნატები მუდამ საკუთარი ინტერესების რეალიზაციის ცდაში არიან. კაპიტალიზმს არ სძალუძს საბოლოო ზავის მხარის დაჭერა, განიარაღების პრობლემის წამოყენება. მშვიდობიანობის ქადაგება არ არის კაპიტალიზმის პროფესია.

ვაშინგტონმა ვერ გასცა დადებითი პასუხი სამხედრო განიარაღებას. საფრანგეთის კაპიტალის ლიდერებმა გადაჭრით გაილაშქრეს იარაღის დაყრის წინააღმდეგ.

ვაშინგტონის შემდეგ სამხედრო ხელოვნებაში დიდ-ძალი აღმოჩენები და მიღწევანი მოხდა. აეროპლანები, ტანკები, ტყვიისმფრქვეველების გაუმჯობესებამ მიაღწია განვითარების შემდეგ საფეხურს. ტყვიის წამლის სუნი აშკარად მოედო ევროპის ტერიტორიას. კაპიტალისტური ევროპა ბრძოლის სამზადისს შეუდგა. ეს იყო და არის კაპიტალისტური წარმოების სისტემის შინაარსის დედა აზრი.

გენუის კონფერენციაზე განიარაღების საკითხი რუსეთმა წამოაყენა. კაპიტალისტური სამყაროს დიპლომატები დიდის აფურ-ზაფურით შეხვდა პროლეტარულ რუსეთის სამართლიან მოთხოვნილებას. განიარაღების პრობლემას ვერ მისცა დამაკმაყოფილებელი პასუხი გენუის კონფერენციამ.

დღეს საბჭოთა მთავრობა კვლავ აყენებს განიარაღების საქმის დასრულებას. უკვე გაიხსნა მოსკოვში კონფერენცია იარაღის დაყრის, შეიარაღებულ ძალების მინიმალ რაოდენობამდე დაყვანის შესახებ. საკვირველია ბევრთათვის ეს ფაქტი, რომ მოსკოვი სცდილობს და მხარს უჭერს ამ აქტს. არსებითად საკვირველი ამ მოვლენაში არაფერია. საბჭოთა მთავრობამ ფაქტიურად შეამცირა წითელი ჯარი. არმიის რაოდენობა შემცირდა, ხოლო ხარისხი ამაღლდა. დარჩა ნაკლები რიცხვი შედარებით, მაგრამ საბრძოლველი ენერგია შედარებით უცვლელია.

მოსკოვის კონფერენციის მიზანი არსებითად მიმართულია კაპიტალისტურ ქვეყნების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ მსოფლიოს არ შეუძლია იარაღზე ხელი აიღოს, და თუ აიღებს, სამარეს გაითხრის საკუთარის ხელებით.

მსოფლიო რევოლიუციის ფრონტზე განიარაღებით ბევრი რამ შეიცვლება. ეს ცვლილება იქნება რევოლიუციონურ ბრძოლის სასარგებლოდ მიმართული. ბურჟუაზიული რეაქცია იარაღის [illegible] სცოცხლობს და საზრდოობს. იარაღითაა გასაკლდევებული ანტანტის ფახტების მფლობელთა ძლიერება. პროლეტარულ ძალების განიარაღება კი შეუძლებელი საქმეა, ვინაიდან ეს იქნებოდა განიარაღება რწმენისაგან, რევოლიუციონურ აზრებისაგან, სოციალისტურ იდეებისაგან. ამის განადგება ცხოვრების რეალობაში ყოვლად შეუძლებელი საქმეა.

ამრიგად, მოსკოვმა მეტად სერიოზული და რევოლიუციონური მნიშვნელობის პრობლემა წამოაყენა.

[illegible] განიარაღების საკითხის დადებითად გადაწყვეტა [illegible] მახვილია, ბურჟუაზიულ სამყაროს მკერდისაკენ მიმართული. შეუძლებს ამ საქმის შესრულებას მოსკოვი? თანამედროვე ევროპის საერთო მდგომარეობა იძლევა დადებით პასუხს ამ კითხვაზე.

გ. მუშიშვილი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**სოც. დემოკრატიის პასუხი კომუნისტებისადმი საქსონიაში მუშათა მთავრობის შედგენის საკითხზე.** საქსონიის სოციალ-დემოკრატიის მუშათა გაერთიანებულ კომისიამ აუწყა საქსონიის კომუნისტურ პარტიას თავისი თვალსაზრისზე კომუნისტების მიერ წამოყენებულ პირობების შესახებ. პასუხში ნათქვამია, რომ კომუნისტების მოთხოვნილებანი, სწორედ ისევე, როგორც სოც. დემოკრატიის მოთხოვნილებათა ნაწილი, თუმცა ფაქტიურად არიან სამართლიანი, მაგრამ ეკუთვნიან საზოგადოებრივ ხელისუფლების კომპეტენციას. მაგრამ ისეთი მოთხოვნილებები, როგორიცაა შრომის ყველა კანონების ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციაზე განსახილველად წარდგენა, უნდა იქმნას უარყოფილი, ვინაიდან იგი არ არის გერმანიის მთელი პროლეტარიატის მოთხოვნა. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები წარმოადგენენ მხოლოდ პროფმოძრაობის ორგანოებს, ხოლო ეკონომიურ საკითხების გადაწყვეტის დროს მთავრობა ყოველთვის გებულობს პროფკავშირების აზრს. დაბოლოს, სოც. დემოკრატები იხსენებენ, რომ თვით კომუნისტური პრესა აღიარებს კონსტიტუციის მხარის დაჭერას მანამ, სანამ მუშათა კლასს არ ძალუძს მისი შეცვლა. უსვამს რა ხაზს, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა ყოველ შემთხვევაში არის შესაძლებელი სოც.-დემოკრატიის წინანდელ წინა საფუძვლებზე დამყარებით, კომისია სთხოვს კომუნისტებს გარკვეულ პასუხს და ამასთან ერთად იძლევა წინადადებას, დაიწყოს ზეპირი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მთავრობის პროგრამის შესამუშავებლად.

— **გერმანიის ფაშისტები ბავარიის მფარველობის ქვეშ.** ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციების დახურვის სამი დღის შემდეგ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა ახლად ფეხადგმული პანგერმანისტული მუშათა პარტია. პროგრამაში ხაზ გასმულია პარტიის სახალხო ხასიათი. კერძოთ შემდეგი მოთხოვნილებებს აყენებს ეს პარტია: ვერსალის და სენჟერმენის ხელშეკრულებათა გაუქმება, კოლონიების გადაცემა გერმანიაზე, ბრძოლას ძალდატანებითი მეურნეობის წინააღმდეგ, მსხვილ წარმოების მუშების მონაწილეობა მოგებაში, სიკვდილით დასჯა სპეკულიაციისთვის. ბავარიის საგარეო მინისტრი შვეიერმა, სოც. დემოკრატის შეკითხვის პასუხში დაიცვა ნაციონალ-სოციალისტები. შვეიერმის სიტყვით, მთავრობას შეუძლია უყოყმანოდ მიიღოს ნაციონალ-სოციალისტების პროგრამის ნაწილი. შვეიერმა განაცხადა, რომ მუსოლინის წარმატების შემდეგ ნაციონალ-სოციალისტების პარტია დიდად გაიზარდა. ნაციონალ-სოციალისტების პარტიის დაშლისათვის არ არის არავითარი საფუძველი, ბავარია, ვენგრიის მსგავსად, გრძნობს თავს ძლიერად, რათა გაუმკლავდეს საჭიროების დროს ექცესებს, როგორც მარცხნიდან ისე მარჯვნიდან გერმანიაში შემჩნეულ სოც.-დემ. მუშაობაზე პროლეტარიატის თვით დაცვის თვის, შვეიერმა განაცხადა, რომ მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ასეთ თვით დაცვას.

## წერილები პეტროგრადიდან

(საკუთარი კორესპონდენტი).

### ოქტომბრის დღესასწაულები პეტროგრადში.

**რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაო.**

მარსის უშველებელი მინდორი მთლად მოფარულია ხალხით. აფარებული თავები თითქოს შეადგენენ ერთ უშველებელ ზღვას თავებისას, რომლის ზედაპირზე ურიცხვი ნიშნებია გაყოლებული—წითელი დროშები მრავალ-გვარი და მრავალ-აზროვან წარწერებით. 12 საათზე კომინტერნის კონგრესის წევრები მიდიან რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაოთან და ამკობენ გვირგვინებით. გაისმა პეტროციხის და გემების ზარბაზნებიდან ძლიერი გრიალი—ეს პირველი სალიუტია, რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაოს პირველ დელეგაციის მიერ გვირგვინით შემკობის აღსანიშნავათ. აგეთი სალიუტი დღეს არა ერთხელ უნდა განმეორდეს და მართლაც ყოველ ორ-სამ წუთში მოისმის შეერთებული გრიალი სამი ზარბაზნისა, რომელიც არძრევს მიწას, სახლებს და შთაბეჭდილებას ტოვებს ეგეთს, თითქოს ეს გრიალი სურთ გააგონონ საზღვარ-გარეთელ ქვეყნებს და აცნობონ მათ რომ პეტროგრადის მუშები შეუდგნენ დღესასწაულს და აღნიშნავენ თავის ძლიერებას მძლავრი გრიალით.

აეროპლანი დატრიალებს ძირ-ძირ მარსის მინდორს და სალიუტით ეგებება დემონსტრანტებს.

ძმათა სასაფლაოს წინ—რევოლიუციის მსხვერპლებს სიტყვას უძღვნება კლარა ცეტკინი.

გამოჩნდნენ სხვა და სხვა რაიონების პროცესიები. მწყობრად, მხიარულად—რევოლიუციონურ სიმღერებით უახლოვდებიან ძმათა სასაფლაოს. მიდიან შორეულ ობუხოვიდან, პუტილოვის ქარხნიდან, პეტროგრადის, ვიბორგის, ვასილიევის და სხვ. რაიონებიდან; მთლად ახალში გამოწყობილნი, ერთფეროვანად, სუფთად და მედგარ სახის გამომეტყველებით, უიარაღოთ, ჯგუფ და ჯგუფ გაიარეს წითელ ჯარისკაცებმა და მიესალმენ ძმათა სასაფლაოს. დღეს იმათი სადღესასწაულო და საიუბილეო დღეა. იმათ შეძლეს პეტროგრადის მრავალჯერ დაცვა, გადარჩენა და ღირსნიც არიან იმ გულმხურვალე მისალმებისა, რომლითაც უმასპინძლდება მათ მუშები.

ეგეთივე სითამამით და გულ მედგრად გაიარეს ბალტიკის მეზღვაურებმა.

მიდის ახალგაზრდობა ხმა მაღლა და მწყობრ სიმღერით. „ჩვენ მჭედლები ვართ" დაიწყო პირველმა და მოჰყვა მას გრიალ ზუზუნი დანარჩენ ხმებისა, თითქოს მართლა სამჭედლოში იყო და გესმოდეს დიდ და პატარა უროთ გრიალ-ზუზუნი.

„ჩვენ კომუნიზმის არწივთა ბარტყები, მატარებელნი ვართ ნეტარ თავისუფლებისა" ოქროსფერ ასოებით ამოქარგულია უზარმაზარ წითელ დროშაზე.

გაისმის ზარბაზნების გრიალი. ახალგაზრდა კომუნისტებმა შეამკეს გვირგვინებით რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაო, დახარეს დროშები ძმათა სასაფლაოს პატივსაცემათ და გაიარეს.

აგერ გამოჩნდა მეორე წყება ახალგაზრდათა, იმედით გაცისკროვნებულ, მაგრამ ცხოვრებასთან ბრძოლით დანაოჭებულ სახეებით, დაფლეთილ პალტოებით, დაგლეჯილ ფეხსაცმლებით და გახუნებულ სულ სხვა და სხვა ფორმის და მოდის ქუდებ ტანსაცმლებით. მოდიან რიგ-რიგად, ცდილობენ არ დაინგრენ, მაგრამ წვიმა და სიცივე ძალაუნებლიეთ აიძულებს მათ მოიკუნჩხნონ პალტოებში, ჩამოიფხატონ ქუდები, მხოლოდ რომ წყალის პატარ-პატარა ორმოებს ასცდნენ და ფეხსაცმლებში წყალი არ შეუშვიდეთ გზას არჩევენ და იქით-აქეთ უვლიან წლაპოებს. ზოგს წიგნები ამოუდვია იღლიაში, ალბათ აქედან სადმე გაიქცევა საზრდოს საშოვნელად. ეს პეტროგრადის სტუდენტობაა—რომლის დროშაზე ელვარებენ გულწრფელი სიტყვები: „ჩვენ ცოდნას ვეძებთ უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენ ძალას ვიკრებთ ბრძოლისა და ახალ მოპოვებათათვის".

გამოჩნდნენ პატარა რევოლიუციონერები. წინ მოაფრიალებენ საშუალო დროშას. ისმის წკრიალა ხმები. წითელი ლენტები, ლენტები, აფარებული, მხიარული თვალები, მომცინარე სახეები უახლოვდება ძმათა სასაფლაოს. დროშები დაიხარენ. [illegible] უძღვნის რევოლიუციის მსხვერპლებს პატარა გვირგვინს ნაძვის ტოტებიდან გაკეთებულს. გაისმის მორიგი გრიალი ზარბაზნებისა ამ მომენტით ჩამოვარდნილ სიჩუმეში.

დღის ოთხ საათზე დამთავრდა გავლა პროცესსიების რევოლიუციის მსხვერპლთა სასაფლაოზე.

**მიტინგი ურიცკის მოედანზე.**

პროცესია მიემართება ურიცკის მოედნისაკენ, სადაც გაიმართება საერთო მიტინგი. აჯანყების მოედნიდან დაწყებული ურიცკის მოედნამდე ქუჩები მორთულია ბაირახებით, პლაკატებით, სახლები ნოხებით, გირლიანდებით და ყოველგვარ მცენარეულობით. აფარებული ხალხი შემოსევია „პეტროლედის" საფეხურს, რომლის უზარმაზარი ვიტრინები ყურადღებას იპყრობს ალეგორიულ „ცოცხალ სურათებით". ერთ ვიტრინაში უშველებელი დათვი დენიკინის პოგონებით შემკობილი, სამხედრო კაკარდიან ქუდით და სამფეროვან ლენტიან შპაგით ცდილობს ბრჭყალებში მოიგდოს წითელარმიელი, უკანასკნელი კი შტიკის საშუალებით უკუაგდებს მას. მეორეში—წითელარმიელია, რომელსაც გარს შემოხვევია სხვა და სხვა მტრები: დათვი—გენერლის მუნდირში გამოწყობილი, რომელსაც თათებში უკავია წითელი არაყით სავსე და წინ მოუძღვება ბატს ბაწრით გამობმულს—პირველი უკრაინელია, მხოლოდ ბატი—ესერი; მეორე ცხრით—დაკრეჭილ კბილებით წითელარმიელს ეტოვება მგელი, რომლის თავზე წამოსკუპულია გვირგვინი წარწერით—„ინგლისი", აგერ იდრიკება ორანგუტანგი—იაპონია, თავზე და ფუჩინავს ყვავი—რუმინეთი და ჩუმ ჩუმად ეპარება მელია—საფრანგეთი ყველანი ცდილობს [illegible], დაგლეჯ დაფლითოს წითელ-არმიელი, მაგრამ ვერ ბედავენ მიახლოვებას და ამ გაურკვევლობის მომენტში არიან გაყინულნი.

ურიცკის მოედანი, ხელოვნების სასახლის წინ ამართულია ვეებერთელა ტრიბუნა, რომელიც დაკავებულია კომინტერნის კონგრესის წევრების, პეტროსაბჭოს და საპატიო სტუმრების მიერ. წინ სდგანან: ზინოვიევი და ლუნაჩარსკი.

დამთავრდა პროცესიების შემოსვლა მოედანზე. მოედანი გაჭედა აფარებულ, ზღვა ხალხით, საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს ეს ერთად ოთხ კუთხედ ადგილზე შეჯგუფული დიდრიცხოვანი გროვა ხალხისა, რომელსაც გარშემო შემორტყმული აქვს ექვს სართულიანი სახლები. მოისმის ერთტონიანი ზუზუნი ხალხისა და გრძნობ ძლიერებას, რომელსაც წარმოადგენ ამ ხალხში დაგროვებულ პოტენციალურ ენერგიის ერთად დაგროვების შედეგებს.

წვიმა ისევ გრძელდება, ექვს საათზე მეტია რაც, რომ დემონსტრანტები ამ წვიმის ქვეშ არიან. მთლად დაწუწწულნი, დალაფულნი სდგანან და ამ ხელის შემშლელ სტიქიას არ ემორჩილებიან. მართალი იყო ზინოვიევი, რომელმაც სახუმაროთ წამოიძახა „ძირს კონტრ-რევოლიუციონური წვიმა"-ო, მართლაც დამარცხებული თუ არა შერცხვენილი მაინც დარჩა წვიმა, დღეს ვერ შესძლო პროცესიების დაშლა დანგრევა, ნეპმანების და კონტრ-რევოლიუციონერების გასახარელათ, რომლებიც ქუჩის გვერდებზე სახლის კედლებს მიყუდებოდენ და გულმოწყვეტით უცქეროდენ მუშათა ძლიერების დემონსტრაციას.

— გაუმარჯოს წითელ ცხენოსან ჯარს! გაუმარჯოს ამ ბუდიონს—წითელ ცხენოსანთ მეთაურს" გაჰყვირის ხალხი ბუდიონის დანახვაზე, ამხ. გორდონი პატარა ბაირაღის აწევით ითხოვს ყურადღებას და სიჩუმეს.

— სიტყვა ეკუთვნის იტალიის კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელს ამხ. ბომბაჩის—აცხადებს გორდონი.

ამოლისმენტები, დაუსრულებელი „ურა“.

— ამ დიდებულ წუთების განცდის დროს, მიმძიმს აღნიშნო იმ სამწუხარო ფაქტისა, რომ დღეს იტალია შეიქმნა რეაქციის ბუდეთ.

იტალიის ხალხი ხელში ჩაუვარდა რეაქციონურ ბურჟუაზიას და ფაშისტებს.

— ძირს ფაშისტები, გაუმარჯოს იტალიის მებრძოლ პროლეტარიატს — უპასუხებს ხალხი.

— მაგრამ იტალიის პროლეტარიატი არ კარგავს იმედს. თქვენგან ითხოვს ის გამაგრებას და დახმარებას. გასწიეთ წინ. გამარჯვების დღეები შორს არ არის—მალე დავეწევით.

— სიკვდილი ფაშისტებს, სიკვდილი მუსოლინს.

საფრანგეთის ახალგაზრდა კომუნისტების სახელით სიტყვას ამბობს ლიაპორტი.

— მიტინგი დამთავრდა აცხადებს გოროდონი, მაგრამ ხალხი არ იშლება, მას აუცილებლად სურს თავის წინამძღოლის სიტყვის მოსმენა. ის ითხოვს ზინოვიევს, მაგრამ ზინოვიევი კუდე წასულა მიტინგიდან.

ტრიბუნიდან იწყებენ ინტერნაციონალს—მძლავრი ხმით აყვება მთელი ხალხი დაიწყებს და ჯგუფებით იშლება.

## ინტერნაციონალის მე-4 კონგრესი

კომინტერნის მე-IV კონგრესის გახსნა დანიშნულია სამშაბათს 8 საათზე სახალხო სახლში, ურიცკის მოედნიდან გამობრუნებული კონგრესის წევრები დაბრუნდენ ევროპიულ სასტუმროებში და ისვენებენ. მაგრამ არ ისვენებს ხალხი [illegible] 25 [illegible] რომ [illegible] ბით შეხვდენ წევრებს მძლავრ „ურა“-თი და ოვაციებით.

აჯანყების მოედნის გარშემო შემორტყმულია მილიცია, რომელიც აკავებს ხალხს და არ აძლევს ნებას მივიდოს მოედანი სასტუმროს წინ. შვიდ საათზე გამოჩნდა ტრამვაის ვაგონები. მორთული წითელ მატერიებით, ბაირახებით, მცენარეულობით და განათებულ წარწერებით სხვა და სხვა ენებზე ამ ვაგონებით გაემგზავრებიან კომინტერნის კონგრესის წევრები სახალხო სახლისაკენ. ჩამწკრივდა ვაგონები. 25 ოქტომბრის პროსპექტი მთელი თავის სიგრძეზე განათებულია მრავალფერ ელექტრონის სანათებით. პროჟექტორი კი ანათებს მთელ ქალაქს თავის ძლიერი სინათლით.

საუცხოვო, გრანდიოზული სანახაობა.

აქა იქ, ცაში მიფრინავენ მაშხალები ფერად სხივებით და კუდიან ვარსკვლავებივით.

სასტუმროდან გამოდიან კომინტერნის კონგრესის წევრები. მილიციამ ვეღარ შესძლო ხალხის შეკავება. ხალხმა გაარღვია ცოცხალი კედელი და შემოეხვია მჭიდროდ წარმომადგენლებს. ყვირილით გამოსთქვამს ხალხი თავის გულითად გრძნობებს. კიდევ წუთი და ვაგონები დაიძრენ. ხალხი ოვაციებით აცილებს მათ.

სახალხო სახლის წინ აურაცხელი ხალხია. ფასადი სახლისა მორთულია ელექტრონის სანათებით და ვენზელებით. მთელი კორიდორები, თვით საოპერო ზალა გაჭედილია მაყურებლებით. სცენის უკან მაღლა ჩამოკიდებულია ლენინის დიდი სურათი. სცენაზე წინ მაგიდაა კონგრესის პრეზიდიუმისათვის, ცოტა მოცილებით კი მაგიდა პრესის წარმომადგენლებისათვის.

საიდან არ მოსულან პრესის წარმომადგენლები, რომელ ქვეყნიდან არა, რომელ მიმართულების გაზეთის წარმომადგენელი არ არის. იტალიელებს, ფრანგებს, ინგლისელებს, ამერიკელებს, ნეგრებსაც კი, ბურჟუაზიულ, კომუნისტურ და სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენლებს შეუყრიათ თავი პრესის წარმომადგენელთა მაგიდის გარშემო.

გარშემოც ისმის სხვა და სხვა ენებზე ლაპარაკი, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს მთელ ქვეყანას აქ განგებ გამოუგზავნია თავისი წარმომადგენლები სხვა და სხვა ტიპების, ტემპერამენტების, ენების, გარეგ შეხედულობის, ენის და გამოთქმების შესადარებლად, თითქოს თავს გრძნობ დიდ ცოცხალ ხალხთა მუზეუმში, რომელშიაც ერთ ხელის კოლექციონერისას მოუგროვებია სხვა და სხვა ერის შვილები.

სცენაზე გამოდის კლარა ცეტკინი ზინოვიევის და ფელიკს კონის თანხლებით, ხანგძლივ აპლოდისმენტებით ეგებება მთელი ზალა კონგრესის ძველ წევრს—კლარა ცეტკინს, რომელიც კონგრესს გახსნილად აცხადებს და თავმჯდომარეობას უთმობს პეტროგრადის პროლეტარიატის წინამძღოლს—ზინოვიევს.

ოვაციები მეორდება კიდევ უფრო მეტი სიძლიერით.

ზინოვიევი კითხულობს ლენინის და ტროცკის დეპეშებს კონგრესისადმი მომართულს.

— გაუმარჯოს ილიჩს; გაუმარჯოს ამხ. ტროცკის—გაისმის ერთხმად.

სიტყვას ამბობს ზინოვიევი.

ის ეხება საერთაშორისო ძალთა განწყობილებას, შემდეგ გადადის სხვა და სხვა ქვეყნების კონკრეტ მოვლენებზე, ახასიათებს იტალიაში გამეფებულ ფაშიზმს, რომელიც შესაძლოთ მიაჩნია გამეფდეს გერმანიაში, უნგრეთში, ბალკანეთზე, ჩეხო-სლოვაკიაში და ავსტრიაში. მეორე მხრით ახასიათებს 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების შეერთების შედეგებს და ამ შეერთების შინაარს და ბოლოს არკვევს მომავალ პერსპექტივებს კომუნისტურ მოძრაობისას.

მხურვალე სიტყვებს ამბობენ ცეტკინი, ბერონი, კატაიამა და ფელიკს კონი.

ოფიციალური ნაწილი კონგრესისა დამთავრდა 12 საათზე, მხოლოდ შემდეგ დაიწყო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ხორო შემდგარი 1200 მომღერლიდან.

ღამის 3 ნახ. გათავდა კონცერტიც ხალხი დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

## პეტროგრადის საბჭოს სხდომა.

პეტროგრადის მე 8 საბჭომ 6 ნოემბერს პირველი თავისი სხდომა გაატარა მთელი ქვეყნის პროლეტარიატის სოლიდარობის აღნიშვნის ქვეშ, პეტროსაბჭომ ურიცკის სასახლეში მიიღო ძვირფასი სტუმრები—კომინტერნის მე 4 კონგრესის წევრები ხანგძლივ და გულწრფელ აპლოდისმენტებით.

ამხ. ევდოკიმოვი გახსნილათ აცხადებს საბჭოს სხდომას, პეტროსაბჭოს კომუნისტურ ფრაქციის სახელით წინადადება შემოდის ზინოვიევის თავმჯდომარეთ არჩევის შესახებ. ევდოკიმოვი ამბობს კენჭი უყაროს ზინოვიევს კანდიდატურას, მაგრამ საბჭო ერთხმად ითხოვს ზინოვიევს თავმჯდომარეთ, რომელიც იკავებს თავმჯდომარის ადგილს და აცხადებს, რომ საბჭოს სხდომაზე იმყოფებიან კონგრესის წევრები წინადადებას იძლევა მისალმებისას.

— გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—ამბობს ზინოვიევი და მის ხმას უერთდება ხმები და ოვაციები საბჭოს წევრებისა. ირჩევენ პეტროსაბჭოს საპატიო „წევრებს“: კლარა ცეტკინს, ბელეც, მაკ მანუსს, ლომბარდს და სხვ. კლარა ცეტკინი მადლობას უხდება საბჭოს ამორჩეულთა სახელით და უცხადებს საბჭოს, რომ ლეიპციგის მუშა კაცებმა და ქალებმა დაავალეს მას მიუძღვნას საჩუქრად პეტროგრადის მუშებს წითელი დროშა. საბჭო იღებს რა საჩუქარს. ადგენს გაუგზავნოს სამაგიერო დროშა ლეიპციგის მუშებს.

სიტყვები ეძლევა კომინტერნის კონგრესის წევრებს.

ამერიკის კომუნისტურ პარტიის სახელით სიტყვას ამბობს ამხ. კარრი, ის მადლობას უცხადებს პეტროგრადის პროლეტარიატს საზღვარ გარეთელ ამხანაგების გულ-უხვად მიღებისათვის.

პოლონეთის კომპარტიის სახელით სიტყვას ამბობს [illegible], რომელიც ათავებს თავის სიტყვას შემდეგნაირათ:

— დიდი ხანი არ გაივლის, რომ პოლონეთი შეიქნება წითელ ხიდათ საბჭოთა რუსეთის, საბჭოთა გერმანიის და ჩეხო-სლოვაკიის შორის.

შემდეგი სიტყვა ეძლევა იტალიის დელეგატს მაფფის, კუნძულ იავის დელეგატს მალაკას და კილიაროვს.

უკანასკნელ დამსკვნელ სიტყვას ამბობს ზინოვიევი, რომელიც ათავებს შემდეგ სიტყვებით:

— ჩვენ გვწამს რომ მთელი ქვეყნის მუშათა კლასი არ მისცემს ნებას ბურჟუაზიას შექმნას ახალი სასაკლაო. და იმ დროს როდესაც უკანასკნელი მოინდომებს და მზათ იქნება წამლის საწყობების ასაფეთქებლად, რომ კვლავ გაამზადოს ახალი, ჯერ უხილავი ჟლეტა ხალხისა და ახალი ომი, იმ დროს ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ კომუნისტური ინტერნაციონალი, ჩვენი ქვეყნის დახმარებით, შეძლებს გამოიყვანოს ბრძოლის ველზე ვგეთ მძლავრ და ძლიერ არმიას, როგორიც არ უხილავს მსოფლიოს“.

სხდომა დამთავრდა საერთო ინტერნაციონალის სიმღერით.

## კომინტერნის კონგრესის წევრების გაცილება

პეტროსაბჭოს პლენარულ სხდომის გათავების შემდეგ კომინტერნის კონგრესის წევრები ჩასხდნენ მათთვის მოყვანილ და საგანგებოთ მორთულ ტრამვაის ვაგონებში, ნიკოლაევის სადგურის წინ დაგროვებული ხალხი ხვდება წევრებს ოვაციებით, ინტერნაციონალის სიმღერით და მხიარულ მისალმებით.

ჩასხდენ მატარებელში. ეშვიდობებიან ერთმანეთს ხალხი და კონგრესის წევრები. ისინი მოსკოვისაკენ გაემგზავრნენ.

რევოლიუციონურ სიმღერებით გამაცილებლები მოემართებიან ურიცკის მოედნისაკენ, სადაც დღეს გამზადებულია ხალხისათვის უფასო კინემატოგრაფი, ინსცენიროვკები და სხვა და სხვა გასართობები,

დამთავრდა დღესასწაულები. სადღესასწაულო სულიერი განწყობილება შეიცვალა სამარადღეო განწყობილებათ. ამოიძრავდა ქარხნები, შავი კვამლი ერთვის პეტროგრადის შავ ღრუბლებით მოცულ ცას, მაგრამ ამ შავ კვამლში იჭედება ახალი ბედნიერი და სხივოსანი ცხოვრება—თავისუფალ, ქედ-გამაგრებულ და ძლევა-მოსილ მუშა ხალხისა.

ტ. ხუბანიძე.

9 ნოემბ. 1922 წელი.

# კომინტერნის კონგრესი

### რენუს განცხადება

რენუ თავის ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ უკანასკნელი ემორჩილება კონგრესის ყველა დადგენილებებს და შეეცდება ფრაქციულ განხეთქილების მოსპობას, ფრაქცია დარწმუნდა საფრანგეთში ერთიან ფრონტის ტაქტიკის სისწორეში.

### სუვარის განცხადება

საფრანგეთის კომპარტიის მარცხენა ფრთის სახელით სუვარი აცხადებს, რომ მემარცხენეთა ფრაქცია ამაყობს იმ ტაქტიკით, რომელიც სწორად არის მის მიერ ღიარებული. საფრანგეთი მომავალშიც დაიცავს საერთაშორისო დისციპლინას.

ტროცკი საბოლოო სიტყვაში გამოსთქვამს იმედს რომ ფრაქციული უთანხმოება საბოლოოთ მოსპობილ იქნება საფრანგეთის კომპარტიაში.

### რეზოლიუცია საფრანგეთის საკითხის შესახებ

კონგრესი ერთხმად იღებს საფრანგეთის საკითხის შესახებ რეზოლიუციას, რომელიც პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შემადგენლობას აწესებს ფრაქციათა პროპორციონალურ წარმომადგენლობის პრინციპზე. კონგრესი ავალებს ც. კომიტეტის არჩეულ შემადგენლობას პარტიულ კონფერენციის მოწვევამდე იანვარში განაგრძოს პარტიის ხელმძღვანელობა. ფროსარი და სუვარი უახლოეს სამი თვის განმავლობაში ირიცხებიან პარტიის წარმომადგენლად კომინტერნის აღმასრულებელ კომიტეტში. კაშენი რჩება „იუმანიტეს“ მთავარ რედაქტორათ. კონგრესი უკრძალავს პარტიის წევრ—ჟურნალისტებს ბურჟუაზიულ გაზეთებში თანამშრომლობას.

### გასამართლებულ კომუნისტის [illegible]

მოლსოკი აცხადებს, რომ საფრანგეთის კომუნისტს (გვარი დამახინჯებულია) მიუსაჯეს დაპატიმრება 13 თვით. კონგრესი ესალმება გასამართლებულს.

### რეზოლიუცია ისპანიის საკითხის შესახებ

მიღებულია რეზოლიუცია ისპანიის საკითხის შესახებ რომელიც აღნიშნავს, რომ ისპანიის პარტია არ უნდა წავიდეს დათმობის გზაზე ანარქო-სინდიკალისტების მიმართ და ისპანიის კომუნისტებმა უნდა იმუშაონ პროფკავშირებში.

# პროფინტერნის კონგრესი

### სამანდატო კომისიის მოხსენება.

მოსკოვი 5 დეკ. პროფინტერნის კონგრესზე აცილოვიჩმა სამანდატო კომისიის სახელით განაცხადა, რომ კონგრესზე გამოცხადდა სულ 213 დელეგატი, რომელნიც არიან 12 მილიონზე მეტ დარაზმულ მუშების წარმომადგენლები, სულ წარმოდგენილია 38 ქვეყანა. გარდა ევროპის ქვეყნებისა, წარმოდგენილი არიან: ავსტრალია, ბრაზილია, შეერთებული შტატები, კანადა, ჩილი, ურუგვაი, ჰოლანდიის, ინდოეთი, ჩინეთი, იაპონია და სხვ. დელეგატების 82 პროც. მუშებია.

### გარდის მოხსენება უმუშევრობის შესახებ.

გარდი აკეთებს მოხსენებას უმუშევრობის შესახებ და ამბობს: ვერსალის ხელშეკრულებამ ჩაუყარა საძირკველი თანამედროვე უმუშევრობას. გერმანიაში ყველა მუშებს დიდი ხნის განმავლობაში უხდებათ მუშაობა მცირე ხელფასით. საფრანგეთში და ინგლისში ასეული ათასი მუშები სრულიად უმუშევრად დარჩენიან. ამერიკაში 5,700,000 უმუშევარია, ვინაიდან დოლარის მაღალი კურსი არ იძლევა საშუალებას, გატანილ იქნას საქონელი ევროპაში. პატარა ჩეხო-სლოვაკიაში 60,000 უმუშევარია. წითელმა პროფინტერნმა უნდა შეიმუშავოს პროგრამა უმუშევრობასთან ბრძოლის შესახებ.

### აცილოვიჩის მოხსენება კოოპერაციის და პროფკავშირების ურთიერთობის შესახებ.

აცილოვიჩი აკეთებს მოხსენებას კოოპერაციის და პროფკავშირთა ურთიერთობის შესახებ. ზოგიერთ ქვეყნებში დიდ უყურადღებობას იჩენენ კოოპერაციისადმი, რეფორმისტები პირიქით დიდ მნიშვნელობას აძლევენ მას. ჩვენ უნდა დავიკავოთ საშუალო პოზიცია. კოოპერაციისათვის გვერდის ახვევა არ შეიძლება, ვინაიდან იგი აერთიანებს მრავალ მილიონიან მუშა-მოსამსახურეებს. გერმანიაში მუშათა 78 პროც. მონაწილეობს კოოპერაციაში, კოოპერაცია სასარგებლოა, როგორც სკოლა, რომელიც ამზადებს მეურნეობის ორგანიზატორებს.

მომხსენებელი საკოოპერაციო კომისიის სახელით ადგენს პროგრამას, რომელიც 3 მუხლისაგან შესდგება: დახმარება მომხმარებელ მუშათა კოოპერაციის უარყოფა რეფორმისტულ (დამახინჯებულია)... კოლექტიურ დუქნების უარყოფა, იმ დუქნების, რომელნიც გავლენას ახდენენ პროფკავშირებზე.

### მონმუსოს წინადადება.

საფრანგეთის წარმომადგენელი მონმუსოს შემოაქვს წინადადება, რათა 25 დეკემბრისათვის მოწვეულ იქნას რევოლიუციონურ სინდიკალისტების კონფერენცია პროფინტერნის კონგრესის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, კომინტერნისადმი დამოკიდებულების შესახებ, ნათლად გამოაცალა ყველა გამოთიშულებს, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივ;

არც ერთ სინდისიერ სინდიკალისტს არ აქვს უფლება დარჩეს წითელ პროფინტერნის გარეშე.

კონგრესი ერთხმად იღებს მონმუსოს წინადადებას და პროფინტერნის მოწოდების ტექსტს ყველა რევოლიუციონურ სინდიკალისტებისადმი.

### გელერის მოხსენება კოლონიების საკითხის შესახებ.

კონგრესის 2 დეკემბრის სხდომაზე კოლონიების საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გელერმა, რომელმაც აღნიშნა კოლონიების ევროპის სახელმწიფოების მიერ დამონავება. ომის დროს კოლონიებში ძალიან განვითარდა ინდუსტრია, რის გამოც დაიწყო პროფესიონალური მოძრაობა. უკანასკნელი, რომელიც წინად ნაციონალისტების ხელში იმყოფებოდა კლასიურ ხასიათს ღებულობს. პროფინტერნმა ხელიდან უნდა გამოგლიჯოს ნაციონალისტებს პროფესიონალური მოძრაობა და დაუკავშიროს ევროპის მუშები კოლონიების პროლეტარიატს კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

### ავსტრალიის დელეგატის გარდენის სიტყვა.

ავსტრალიის დელეგატი გარდენი გამოსთქვამს რწმენას, რომ შემდეგი ომი დაიწყება წყნარი ოკეანის ნაპირებზე იაპონიის და ამერიკის შორის. ამ მიზნით ამერიკა სცდილობს გადააქციოს ავსტრალია თავის ფლატფორმად.

1923 წელში განზრახულ წყნარი ოკეანის პროფკავშირთა კონფერენციის საშუალებით საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული ამ ომის საფრთხე.

### მალაკა (იავა) და სინკა (ინდოეთი) განცხადებანი.

მალაკა და სინკი აღნიშნავენ რომ საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნებში რევოლიუციონურ ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც მეთაურობს სარიკატ-ისლამის პარტია იავაში და განდიზმი ინდოეთში და გამოყენებულ იქნას ეს მოძრაობა რევოლიუციონური მიზნებისათვის.

### ანდრეევის მოხსენება რუსეთის პროფ. მოძრაობის შესახებ.

ანდრეევმა რუსეთის პროფ. მოძრაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა, რომ რუსეთის მუშათა ხელფასი მუდმივ მატულობს და თანდათან მჭიდრო ხდება კავშირი პროფკავშირთა და მასებს შორის.

### არჩევნები.

კონგრესმა [illegible] ერთხმად [illegible]

კონგრესი დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

# ლოზანას კონფერენცია

მოსკოვი. დეკ. 5. ლოზანიდან მიღებულ ცნობების თანახმად. დეკემბრის 2-ს კონფერენციაზე იხილავდენ საკითხს კაპიტულაციის შესახებ. მოკავშირეებმა შეიტანეს წინადადება კაპიტულაციის მოქმედების 4 წლით განგრძობის შესახებ, რის შემდეგ იგი გაუქმებული იქნება, თუ აღმოჩნდება, რომ ოსმალეთის (დამახინჯებულია). ღირსია ნდობისა. ოსმალეთის დელეგატებმა ენერგიული პროტესტი განაცხადეს ასეთ წინადადების წინააღმდეგ.

— ლოზანიდან მიღებულ ცნობების თანახმად, კონფერენციას ჩაშლა მოელის. ისმეტ-ფაშა უკმაყოფილოა მოკავშირეების რეზოლიუციით ოსმალეთის სამოქალაქო მცხოვრებთა რეპატრიაციის შესახებ. რაც ოსმალეთს ისეთსავე პირობებში ჩააყენებს, როგორც ბულგარელებს, სერბიელებს და ბერძნებს, მოლაპარაკების დროს ოსმალოებმა მიუთითეს დასავლეთ თრაკიაში მცხოვრებლების გარეთულებზე, სადაც მათი სიტყვით 20,000 შეიარაღებული ოსმალო მზადაა გამოსვლისათვის.

### ისმეტ ფაშის განცხადება.

პარიზი. დეკ. 5. ისმეტ-ფაშამ სრუტეების კომისიაში განაცხადა, რომ მხოლოდ ოსმალეთს შეუძლია იყოს სრუტეების სუვერენული მფლობელი და რომ ოსმალეთის დელეგაცია უცდის მოკავშირეების წინადადებას, თავის მოსაზრებების ჩამოყალიბებამდე.

### კრიტიკული მომენტი

პარიზი. 5 დეკემბერი, მოკავშირეების წრეებში ფიქრობენ, რომ კონფერენციამ მიაღწია კრიტიკულ მომენტს, საიდანაც გამოსვლა შეიძლება მხოლოდ ურთიერთ შორის კეთილ განწყობილების და მოკავშირეების შორის მჭიდრო ერთობის გზით.

### რუსეთის დელეგაციის განცხადება.

მანჩესტერი. 5 დეკემბერი. რუსეთის დელეგაციამ განაახლა თავისი მოთხოვნილება კონფერენციის მუშაობაში საბჭოთა რესპუბლიკების მთელი შემადგენლობით მონაწილეობის შესახებ. მაგრამ დელეგაცია დათანხმდა აგრეთვე მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ სრუტეების საკითხის განხილვაში და განაცხადა, რომ უკანასკნელ შემთხვევაში საბჭოთა რესპუბლიკები თავისუფალნი იქნებიან მათ გარეშე მიღებულ ყველა ვალდებულებებიდან.

### ჩვენი და მათი ერთიანი ფრონტი.

მანჩესტერი. 5 დეკემბერი. მიმდინარე კვირაში დაიწყო სრუტეების საკითხის განხილვა. უკვე თანდათან ირკვევა რუსეთის და ოსმალეთის მჭიდრო კავშირი, რომელიც გაცილებით უფრო მტკიცეა, ვინემ მოკავშირეთა პოზიცია.

### უშედეგოდ.

ლონდონი. 5 დეკემბერი. სრუტეების კომისიის სხდომამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ლორდ კერზონი, ვერავითარ შედეგებს ვერ მიაღწია. მოსმენილ იქნა ჩიჩერინის განცხადება, რომელიც მოითხოვდა სრუტეების სავსებით დახურვას სამხედრო გემებისათვის გარდა, ოსმალეთის გემებისა, რაც აუცილებელია სტამბოლის დასაცავად. ისმეტ-ფაშამ ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი არ გამოსთქვა და დუკას (რუმინია) და სტამბულინსკის (ბოლგარეთი) განცხადებების შემდეგ სხდომა გადაიდო.

### კაპიტალისტების მთლიანი ფრონტი.

ლონდონი. 5 დეკემბერი. ინგლისის გაზეთების კორესპონდენტები გადმოგვცემენ რომ, მიუხედავად უკანასკნელი მოლაპარაკების უშედეგობისა, მოლაპარაკებანი ყველა საკითხების შესახებ სწარმოებდა მოკავშირეების შორის სრული თანხმობით, რომლებიც მუდამ ცდილობენ მხარი დაუჭირონ მჭიდრო თანამშრომლობას ურთიერთ-შორის. კაპიტულაციის შესახებ არა მარტო მოკავშირეები, არამედ ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები შეთანხმდენ მოკავშირეების შეხედულებებში, ამ საკითხში ოსმალეთთან ხელშეკრულების არსებობის გამო.

### კონფერენციის შეწყვეტა იანვრამდე

ნაუენი 5 დეკ. კონფერენცია ჯერ-ჯერობით შორს არის შეთანხმების მიღწევისაგან და დელეგატები სერიოზულ მერყეობას განიცდიან. ბრიტანიის მთავრობა ამუშავებს კონფერენციის იანვრამდე გადადებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩიჩერინის განცხადება.**

ლონდონი. 5 დეკ. ჩიჩერინმა „დეილი-ჰერალდის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის ოფიციალური პოზიცია წარმოადგენს მუქარას მსოფლიოსათვის და ლოზანის კონფერენციის ნაყოფიერებისათვის. თუ წარმოიდგენთ, რომ სრუტეები ყველასათვის ღია იქნება, მაშინ ინგლისი იქ შექმნიდა პირველ ხარისხოვან სტრატეგიულ პოზიციას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ. ჩიჩერინმა დაადასტურა, რომ რუსეთმა უარი უთხრა ლიგის შუამდგომლობა იმ ნიადაგზე, რომ ლიგა მოკავშირეთა აბსოლუტური გავლენის ქვეშ იმყოფება.

**კაპიტულაციის საკითხის შესახებ.**

რომი 5 დეკ. გაიმართა კომისიის სხდომა ოსმალეთის კაპიტულაციის საკითხის განსახილველად. კომისიის თავმჯდომარემ გარისონმა განაცხადა, რომ კაპიტულაციის სისტემა დაწესებულია უცხოეთის ეკონომიური ძალების მიზიდვის და უკანასკნელთათვის საჭირო გარანტიების შექმნის მიზნით, ამიტომ ოსმალეთი დაინტერესებული უნდა იყოს იმაში, რომ იმ უცხოელებს, რომელთა კაპიტალებს საჭიროებს იგი, მიეცეს აუცილებელი გარანტიები. ოსმალეთის დელეგაცია ამტკიცებდა კაპიტულაციის უსარგებლობას და აცხადებდა, რომ ოსმალეთს აქვს უფლება თვითონ მოაწესრიგოს თავისი დამოკიდებულება უცხოელებთან. ამერიკის წარმომადგენელი შეუერთდა მოკავშირეთა თვალსაზრისს.

გარისონის წინადადებით, ოსმალეთის დელეგაცია დაეთანხმა იმაზე, რომ ოსმალეთი დელეგაციის განცხადება გადაეცეს შესასწავლად სპეციალურ ქვე-კომისიას, რომელიც შეიკრიბება საფინანსო ქვე-კომისიასთან ერთად: უკანასკნელი იხილავს ოსმალეთის „დეპ-პიუბლიკის“ საკითხს.

# უცხოეთი

**ტარიფები და ფასები გერმანიაში.**

მოსკოვი. 5 დეკემ. დეკემბერში რკინის გზაზე დაიდება ტარიფი. მოსალოდნელია ფასების მომატება ნახშირზე და ელექტრონზე. დეკემბერში ორჯერ გადიდდება ფასი საფოსტო ამანათებზე.

**სინდიკალისტების ყრილობა.**

მოსკოვი. 5 დეკ. სინდიკალისტების ყრილობამ ერფურტში ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ურჩევენ მუშებს აირჩიონ საერთო გაფიცვების და პირდაპირი მოქმედების, საბოტაჟის და ობსტრუქციების ტაქტიკა. ყრილობამ გადასწყვიტა დაარსონ ბერლინში სინდიკალისტების ინტერნაციონალი.

**საბერძნეთი.**

მოსკოვი. 5 დეკ. ათინის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის არმიაში ყოველდღე ადგილი აქვს დისციპლინის დარღვევის შემთხვევას, განსაკუთრებით იმ ჯარებში, რომლებიც თრაკიაში იმყოფებიან.

ათინის პოლიტიკურ წრეებში მოსალოდნელად მიაჩნიათ რევოლუციის შემოტევა ახალი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. ფიქრობენ, რომ ვ ნიზელოსი დაბრუნდება ათინაში და შეადგენს მის მომხრეთაგან სამინისტროს, ისე რომ თვით არ შევა კაბინეტში.

**ინგლისის პარტიებში**

მოსკოვი 5 დეკ. სოციალიზმის მომავალ საშიშროების გამო, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ საჭიროა ყველა ძველ პარტიების გაერთიანება. ჩემბერლენს განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს კონსერვატორების შეთანხმებას ლიბერალებთან.

**რუმინია და რუსეთი**

მოსკოვი 5 დეკ. რუმინიის ოპოზიციონური გაზეთი „პარტია“ მოითხოვს რუმინიის მთავრობისაგან რუსეთთან შეთანხმებას. გაზეთი აღნიშნავს, რომ რუმინიისათვის რუსეთის პოზიცია ბესარაბიის და სრუტეების საკითხში წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს.

**რუსეთი და ლოზანის კონფერენცია.**

მოსკოვი. დეკ. 5. „ნიუ იორკ გერალდ“-ის ცნობით სტამბოლის პოლიტიკურ წრეებში შიშობენ, რომ რუსეთის წარმომადგენლნი იმ შემთხვევაში თუ ისინი არ დაუშვეს კონფერენციის ყველა საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მისაღებად, დატოვებენ ლოზანას. გადმოგვცემენ, რომ ამ შემთხვევაში ოსმალებიც წაბაძავენ რუსეთს.

**ლოზანის კონფერენცია და ბირჟა**

კრთილთნი 5 დეკემბერი. ლოზანის კონფერენციამ გავლენა იქონია გამოუკვლეველ ყველა ბირჟას მდგომარეობაზე. ბრიუსელის ბირჟაზე ადმინისტრაციის მიერ მიღებულია ზომები ბირჟის პოზიციის გასამაგრებლად და მისი დასაცავად პოლიტიკურ კურსის მერყეობის გავლენისაგან. ოსმალეთის მეტალურგიული რენტა და ყველა საერთაშორისო ფასეულობანი ყველა ბირჟაზე ძლიერ მდგომარეობაში იმყოფებიან, მიუხედავად სხვა ფასეულობათა კურსის მერყეობისა.

**ჩინეთში**

მოსკოვი 5 დეკემბერი. პროგრესისტების გამარჯვებას მოყვა პეკინში ახალი მთავრობის შედგენა ამერიკანოფილის ვინ ტასის მეთაურობით.

**რეიხსტაგის მუშაობის განახლება**

მანჩესტერი 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს გერმანიის რეიხსტაგმა განაახლა თავისი მუშაობა.

**შეთქმულება შეიდემანის წინააღმდეგ**

მანჩესტერი 5 დეკემბერი. ლეიპციგის სახელმწიფო სასამართლოში დაიწყო შეიდემანის საწინააღმდეგო შეთქმულებაში ბრალდებულების საქმის მოსმენა. ამ საქმეში ბრალს სდებენ ვაჰერ გუსტერტს და ელშნერს.

**[illegible] ფრაკიაში**

მოსკოვი 5 დეკემბერი. არეულობამ დასავლეთ ფრაკიაში მწვავე ხასიათი მიიღო. სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა, ორივე მხარე ძლიერ დაზარალდა. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს ბევრი ბერძნული ზარბაზნები, ტყვიისმფრქვეველები და სხვა მასალები. ბერძნების მიერ გაგზავნილმა დამხმარე ძალებმა უარი სთქვეს აჯანყებულების წინააღმდეგ შეტევაზე.

**ამერიკის არმია**

მოსკოვი 5 დეკემბერი. ვაშინგტონის კონგრესისათვის წარდგენილ წლიურ ანგარიშში ამერიკის სამხედრო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა აღნიშნა, რომ 125.000 სალდათისაგან შემდგარი არმია არ არის საკმარისი ცოდნიერი თავდაცვისათვის და დაჟინებით მოითხოვდა ძლიერ საჰაერო ფლოტის შედგენას.

**ლონდონის ფაშისტები**

რომი 5 დეკ. ლონდონის გაზ. „ესტას“ გადმოგვცემს ლონდონის ფაშისტების განცხადებას, რომ მუსოლინის ლონდონში ჩამოსვლის დროს ყველა ფაშისტები სადარბაზო ტანისამოსში მის შესახვედრად შეიკრიბებიან სადგურზე.

**კუნოს განცხადება**

მანჩესტერი 5 დეკ. კანცლერმა კუნომ პრუსიის მუშაკთა წარმომადგენლების მიღების დროს განაცხადა, რომ ახალი კაბინეტი დგას ვეიმარის შეთანხმების ნიადაგზე და რომ იგი შესდგება ისეთი პირებისაგან, რომელნიც ასრულებენ თავის ფიცს. საფრანგეთის უკანასკნელ მუქარის შესახებ რეინლანდის მიმართ კუნომ მტკიცედ განაცხადა, რომ რეინლანდი ეკუთვნის გერმანიას და იგი არავის არ მიეცემა.

# რუსეთი

**კონგრესის წევრთა გაცილება**

მოსკოვი 5 დეკ. მოსკოვის მუშებმა მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის მეთაურობით ზეიმით გააცილეს კომინტერნის და პროფინტერნის დელეგატები. ზეიმში მონაწილეობას ღებულობდა დაახლოვებით 1500 მუშა და მუშა ქალი, რომლებიც გამოგზავნილი იყვნენ ფაბრიკა-ქარხნებიდან.

დიდ თეატრში კამენევის და ზინოვიევის სიტყვების შემდეგ მოსკოვის მუშებმა მიართვეს კონგრესების წევრებს საჩუქრები. მისასალმებელი სიტყვებით და რეზოლუციებით გამოვიდნენ ფაბრიკების, ქარხნების და პროლეტართა ბავშვების წარმომადგენლები.

საღამოს კომინტერნის პროფინტერნის და ახალ-გაზრდობის ინტერნაციონალ კონგრესთა წარმომადგენლები პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების, მოსკოვის მუშების, მუშა-ქალების და წითელ არმიელთა თანხლებით გაემგზავრნენ კავშირთა სახლში, სადაც გამართული იყო გამოსათხოვარი ვახშამი 2,500 კაცისათვის.

**პოალეი ციონის კონფერენცია**

მოსკოვი 5 დეკ. 1 დეკემბერს გაიხსნა პოალეი ციონის ებრაელების კომპარტიის სრულიად-რუსეთის კონფერენცია. 2 დეკემბრის სხდომაზე კონფერენციამ ერთხმად დაადგინა გაუქმონ პოალეი ციონის კომპარტია და შეუერთონ რუსეთის კომუნისტურ პარტიას.

**განიარაღების კონფერენცია.**

მოსკოვი 5 დეკ. განიარაღების კონფერენციის ბიურო იტყობინება: „ლატვიის, პოლონეთის, ფინეთის და ესტონეთის დელეგაციების თავმჯდომარეებს წინადადება მიეცათ განიხილონ ზოგიერთი პოლიტიკური საკითხები შეთანხმების ხელის მოწერის მიზნით, რაც გარანტიას იძლევა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისათვის, ამის შემდეგ კი შესაძლებელი იქნება შეიარაღებულ ძალების შემცირების საკითხის განხილვა. აღნიშნულ დელეგაციების აზრით უნდა იქნეს განხილული საკითხი საზღვაო და საჰაერო შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარემ შეიტანა წინ დადება საარბიტრაჟო სასამართლოს დაწესების შესახებ. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ რუსეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციის მიხედვით, წინადადება შეიტანა რათა დაუყოვნებლივ იქნას შედგენილი კომისია იმ ტეხნიკურ საკითხების განსახილველად, რომელიც დაკავშირებულია განიარაღებასთან. ვინაიდან რეალური შედეგები მიღწეული იქნება არა მარტო რეზოლუციების და შეთანხმებათა ხელის მოწერით, არამედ შეიარაღებულ ძალების ფაქტიურად შემცირებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მიღწეულ იქნეს სამხედრო ხარჯების შემცირება და სამხედრო კონფლიქტების თავიდან აშორება. რუსეთის დელეგაციას შეუძლებლად მიაჩნია პოლიტიკურ წინადადებათა განხილვა, მაგრამ იგი არ იქნება წინააღმდეგი იმისა, რომ განხილულ იქნეს საკითხი არბიტრაჟის შესახებ.

ვინაიდან საღამოს საკითხებში არ იქნა მიღწეული შეთანხმება, კონფერენციის ბიუროს ახალი სხდომა გაიმართება 5 დეკემბერს.

# ახალი ამბები

— ცნობები სააღწერო რაიონების მუშაობის შესახებ 1922 წელი სამი დეკემბერი პირველი რაიონი. ზოგიერთ სააღწერო უბნების აღწერა დასრულდა. მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. რაიონის აღწერა დასრულდება 4 დეკემბრის 2 საათისათვის.

— 1 რაიონი (საბურთალო). დასრულდა 7 უბნის აღწერა. კიდევ დაგვრჩა ასაწერი 6 უბანი. აღმწერლებს ეგზავნებათ მისაშველებლად ის აღმწერლები, რომლებმაც თავიანთ უბნებში უკვე დაასრულეს მუშაობა. კონტროლიორებმა აღმოაჩინეს აუწერელი 3 მფლობელობა მიზეზების გამოკვლევის შემდეგ ჯერ ჯერობით დასტოვეს აუწერელი. მუშაობა ფერხდება იმ უბნებში, რომლებიც თათრებით არის დასახლებული, დიდ ხანს გვიხდება ახსნა-განმარტება და პასუხის მიღების ცდა. საერთოდ მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს.

— 2 რაიონი. 2 დეკემბერს გამოცხადდა 65 აღმწერლები, რეზერვში 1. 2 მოვხსენით სამუშაოდან როგორც საქმისთვის შეუფერებელნი. საერთოდ მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. აღწერილია 22 უბანი, დაგვრჩა 45 უბანი. არავითარი გაუგებრობა არ არის. კონტროლიორები რამოდენიმეჯერ ამოწმებენ დღეში აღმწერლებს მუშაობას. 3 დეკემბერს გამოცხადდა 65 აღმწერლები დავასრულეთ 41 უბანი დაგვრჩა 26. მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად.

— 3 რაიონი. 69 აღმწერლებიდან გამოცხადნენ 50, ამათგან 3 მოხსნილია სამუშაოდან. სხვებს მუშაობა დამთავრებული აქვთ 59 სააღწერო უბნებიდან დამთავრდა დილის 9 საათისთვის 16 სააღწერო უბანი, ამათგან შემოწმებული და მიღებულია 11 უბანი. მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. მოსახლეობა აღმწერლებს იღებს ყურადღებით, არავითარ გაუგებრობას არ აქვს ადგილი.

— 4 რაიონი. დასრულდა აწერა 10 სააღწერო უბნის. მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად.

— 5 რაიონი. რაიონის აღწერა დასრულდება არა უგვიანეს 4 ოქტომბრისა.

— 6 რაიონი. მუშაობა დაიწყო ორი საათით უფრო გვიან, ავტომობილის დაგვიანების გამო. 65 აღმწერლებიდან დღეს გამოცხადა 48 კაცი, რეზერვი მოხსნილია. 48 აღმწერლებიდან სამუშაოზე არის 30 აღმწერელი 15 აღმწერლები ამარაგებენ დამთავრებულ სამუშაოს. 3 აღმწერელი გაგზავნილია დასახმარებლად. მუშაობა საერთოდ დაკმაყოფილებულია. აღმწერლებს მეტ ნაწილად უძნელდებათ სახლ-კარის ფურცლის მე-4 კითხვაზე პასუხი, საბინაოს მე-17 კითხვაზე, ხოლო საპიროდო ფურცლის მე-17 კითხვაზე, აღწერას დავასრულებთ დღეს.

— 7 რაიონი მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. მოსახლეობა ყურადღებით ხვდება აღმწერლებს, გვაძლევენ სწორ ცნობებს, აღმწერლები კეთილ სინდისიერად ეპყრობიან აღწერის საქმეს, გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც აღმწერმა საბინაო ფურცლის შესავსებლად მცხოვრებთ გადაახდევინა 5.000 ათასი მან. ფურცლის შევსებაში. აღმწერი მოხსნილია თანამდებობიდან და მის წინააღმდეგ მიღებულია ზომები. ამ აღმწერლის მიერ 3 სახლში მიღებულია 30.000 მანეთი. 75-პროც. მთელი მუშაობის დასრულებულია, აღწერა დასრულდება 4 დეკემბრისთვის.

— 8 რაიონი. აღმწერლები, რომლებმაც დაასრულეს მუშაობა თავიანთ უბნებში, იგზავნებიან სხვა უბნებში, ახალი პაკეტებით, რომლებზედაც აღნიშნულია სააღწერო უბნების ახალი №№, ისე რომ ყველა სააღწერო რაიონში შედის 2, 3 და მეტი კვარტალი, რომლებიც დაყოფილია რამოდენიმე სააღწერო უბნებად.

— 9 რაიონი. ყველა აღმწერლები გამოცხადნენ. ზოგი უბნები კიდევ დავყავით ახალ უბნებად. სულ 9 რაიონში 71 სააღწევრო უბანია, მათგან 52 უბნის აღწერა უკვე დასრულდა. დაგვრჩა ასაწერი 19 უბანი. ესენიც ხვალისთვის აუცილებლად დასრულებულნი იქმნებიან. არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. მცხოვრებნი ხალისიანად ხვდებიან აღმწერლებს, აღმწერლები ზრდილობიანად ეპყრობიან მცხოვრებთ. მე დავათვალიერე ის უბნები რომლებშიაც აღწერა დამთავრებულია დეფექტი არ არის.

9 რაიონი. გამოცხადდა 47 აღმწერნი, დაამთავრეს მუშაობა 16 კაცმა, რომელნიც გაგზავნილ იქმნენ სხვა სააღწერო უბნებში. ხვალ საღამოსთვის დასრულებულ იქნება 25 უბანი, კონტროლიორების აზრით მუშაობა სრულიად დაკმაყოფილებულია.

— 10 რაიონი. დღეს დასრულდა 11 უბნის აღწერა· მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს. ხვალ, ვფიქრობ, დავასრულებთ რაიონის აღწერას. აღმწერლები ერთგულად და დიდის ენერგიით მუშაობენ.

— 11 რაიონი. სააღწერო უბნები სულ 101,786 სააღწერო უბნებში აწერილია 1.223 სახლკარის, 2778 საბინაო და 12096 საპირადო ფურცლები—ის აღმწერლები რომლებმაც დაამთავრეს აღწერა თავიანთ უბნების, იგზავნებიან დასახმარებლად სხვა უბნებში. ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა კონტროლიორი მოვიწვიეთ სხვა.

— 12 რაიონი. მუშაობა ნორმალურად მიმდინარეობს, დავასრულეთ 16 სააღწერო უბნების აღწერა. 56 აღმწერლებიდან გამოცხადნენ 55. მცხოვრები კარგად ხვდებიან აღმწერლებს, იყო შემთხვევები, როდესაც თვით მცხოვრებლები მოდიოდნენ ბიუროში, ანკეტების შესავსებლად. აღწერილია 35 უბანი, დარჩა დასამთავრებელი 27 უბანი არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. კონტროლიორები ამოწმებენ აღმწერლების მუშაობას რამდენჯერმე დღეში. აღწერას დავამთავრებთ 4 დეკემბრისათვის.

ქალაქის სააღწერო ბიუროს
**თავმჯდომარე.**

— ტფილისში აღწერა უკვე დასრულდა. 4 დეკემბერს საღამოს მცხოვრებთა აღწერა ტფილისის ყველა რაიონებში უკვე დასრულდა.

ამ ჟამად სწარმოებს მასალის შემოწმება და მოწესრიგება. მასალა იგზავნება ქალაქის სააღწერო ბიუროში.

— გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტისაგან ამბროსი სამსონის ძე იობიძემ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

# სამხატვრო ქრონიკა

**შალვა სოსლანის მინიატურების წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ამხ. შალვა სოსლანის მინიატურების წიგნი: „ტფილისი“.

**სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 6 დეკემბერს საზეიმო წარმოდგენა ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივსაცემლოდ „აბესალომ და ეთერი“ წარმოდგენის წინ სიტყვას წარმოსთქვამს ალექს. სუმბათაშვილი.

— **ახალი მწერლობის კავშირი.** ხელოვანთა სასახლეში გაიმართება შემდეგი მოხსენებები: 10 დეკემბერს, პავლე ინგოროყვა:—„რუსთაველის გეოგრაფია“. 17 დეკემბერს, ტიციან ტაბიძე: „ივანე მაჩაბელი“. 24 დეკემბერს, გიორგი ლეონიძე: „საბა-სულხან ორბელიანი“. 31 დეკემბერს, პოლო იაშვილი „ვაჟა ფშაველას პროზა“. 7 იანვარს, ვალერიან გაფრინდაშვილი: „საქართველო და დენდიზმი“, 14 იანვარს, შალვა აფხაიძე: „ქართველი პოეტი ქალები“. 21 იანვარს: ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი—საღამო ქართულ კრიტიკის ა) იონა მეუნარგია, ე) კიტა აბაშიძე, ბ) არჩილ ჯორჯაძე დ) ნოე ჟორდანია ე) ივანე გომართელი.

— **პავლე ინგოროყვას ლექციების სერია.** ახალ მწერალთა კავშირთან არსებულ პოეზიის აკადემიაში პავლე ინგოროყვა წაიკითხავს ლექციათა სერიას „ძველი ქართული საერო ლიტერატურა კლასიურ ეპოქაში“.

— **ვაჟა ფშაველას ბიუსტი.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე აძზადებს ვაჟა ფშაველას ბიუსტს.

— **კონ. მარჯანიშვილი.** ქართული სახელმწიფო დასის მთავარ რეჟისორად დაინიშნა კონსტ მარჯანიშვილი. ამიერიდან მის ხელში იქნება მთელი მხატვრული მხარე თეატრის. მას უფლება ეძლევა გაუწიოს ზედამხედველობა ყოველ დადგმას.

# პარტიაში

**„არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური წრე“.** კვირას 10 დეკემბერს, საქართველოს მემარც. სოც.-ფედ. ცენტრალურ ბიუროში შესდგება მორიგე მოხსენება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. გ. გამყრელიძე შემდეგ თემაზე: „სოციალური უტოპიები“ (მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომის გამო კვირას მოხსენება არ შესდგა.) დასწრება შეუძლია „ახალგაზრდათა ორგანიზაციის წევრებს და თანამგრძნობთ.

**წრის გამგეობა.**

—

14 დეკემბრიდან გამოვა „ახალგაზრდათა ხმის“ მორიგი ნომერი. პროვინციის ორგანიზაციებს ევალება მასალები სისტემატიურად მოწოდება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშათა ახალგაზრდობის ცხოვ-

რებას, პარტიული მუშაობის ანგარიშს ახალგაზრდათა შორის, მოწაფეთა ცხოვრებას და სხ.

ყოველი ორგანიზაცია მოვალეა დანიშნოს პასუხისმგებელი კორესპონდენტი „ახალგაზრდათა ხმისათვის“. წერილები გადმოიგზავნება „ტრიბუნის“ მისამართით. წარწერით „ახალგაზრდათა ხმას“.

# ია კარგარეთელი

### როგორც ქართული მუსიკის მოღვაწე.

(მისი ოცდა თხუთმეტი წლის სამუსიკო მოღვაწეობის იუბილეს გამო).

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დამდეგს ქართველ საზოგადოებაში მეტად გავრცელებული იყო ერთი რომანსი, მგონია, ესპანიური, სახელად ტიგრენოკ. ოჯახს ვერ ჰნახავდა კაცი, რომ არ გაეგონა ხსენებული რომანსი, რა საკვირველია, რუსულად შესრულებული. შავი ჭირივით იყო გავრცელებული და შეგნებული. ქართველი საგონებელში ჩავარდნილ იყო. ის დრო განსაკუთრებით ისეთი დრო იყო, რომ მუსიკის დარგში ქართველი საზოგადოების გონებრივ ზნეობრივი დაჩლუნგება საარაკო გამხდარიყო. ყველა დარწმუნებულიყო, რომ მუსიკისათვის რუსული ენა გაჩენილიყო მხოლოდ და ამ ენითვე უნდა შემოსულ-გავრცელებულიყო საქართველოში ევროპიული მუსიკა ისევე, როგორც ევროპული მეცნიერება.

მაშინ მე პეტრეს ქალაქში ვიყავი. იქვე იყო სილოვან ხუნდაძე, რომელმაც სთარგმნა ხსენებული რომანსი ტიგრენოკ ქართულად. ლექსი იწოდებოდა პირველი სტრიქონით, რომელიც იწყებოდა მტრედის ფერ ცაში მისცურავს მთვარე. ლექსი ავიღე და მოვათავსე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“ საკუთარი წერილის დართვით, ლექსის თარგმანსაც და წერილსაც უმთავრესად ის ჰქონდა მიზნად, რომ ევროპული მუსიკა საქართველოში გავრცელებულიყო უშუალოდ ქართულად თარგმნილი, ოპერა იქნებოდა, თუ ლექსი სულ ერთი იყო.

ამ აზრმა უფრო ფეხი მოიკიდა 1887 წლიდან და ჩვენი ია კარგარეთელი ერთგული პიონერი აღმოუჩნდა საერთოდ ევროპული მუსიკის (ოპერების, სიმღერების) გავრცელების საქმესა. დაარსდა მომღერალ მგალობელთა გუნდი, რომლისაც სულის ჩამდგმელი იყო ლადო აღნიაშვილთან და ი. რატილთან ერთად ია კარგარეთელიც. ეს გუნდი იმდენად კარგად გაიწაფა ევროპულ სიმღერებშიაც (დღესაც მღერიან მაშინდელ ჩუხ-ჩუხით ჩამორბოდა შვედურ და ალსდეგ, გმირთ გმირო ფინურ სიმღერებს), რომ განზრახვაც კი დაებადათ, ევროპა შემოევლოთ ქართული კონცერტების გასამართავად.

ია კარგარეთელმა სამუსიკო მოღვაწეობა დაიწყო გამოსვლით კონცერტებსა და პირველ ქართულ ოპერაში (დემონი და სხ.), რომლის საქმესაც ჩვეულებრივის ერთგულებით ჩაუდგა სათავეში. ქართულ ფილარმონიული საზოგადოების დაარსების საქმეშიაც სხვებთან ერთად პირველი თაოსნობა ეკუთვნის ია კარგარეთელსა თხოვნა მთავრობასთან მისართმევი კარ და კარ დაჰქონდა და ისე აწერინებდა ხელს თანამგრძნობელ პირთ და მთავრობის წინაშე თავგამოდებული შუამდგომელი იგივე იყო. პრაქტიკული სამუსიკო მოღვაწეობა ჩვენი იასი ამით არ დასრულებულა, პედაგოგიც იყო მუსიკაში, რომელიც ასწავლიდა და დღესაც ასწავლის მოზარდ თაობასა.

მაგრამ ია კარგარეთელი თავის დარგში კალმის კაციც არის. საერო სიმღერების, თუ სასულიერო საგალობლების შეკრებით, ხმათა შეწყობით და კრებულად გამოცემით, აგრეთვე სამუსიკო გამოკვლევანის და კერძო წერილების ბეჭდვით ჟურნალ გაზეთობაში ია კარგარეთელი მოჰვლენია ქართველ საზოგადოებას მეორე გიორგი მთაწმინდელად, რომელიც აგრეთვე მუსიკის დიდი მოღვაწე იყო, როგორც მგალობელთ უხუცესი და ყრმათა მასწავლებელი, მაგრამ თავის საყვარელ საქმეს თან გადაჰყვა უბედურება თავს დატეხილი. როცა ყმაწვილები წაიყვანა ბიზანტიაში. ჩვენი იაც, რევოლიუციის წინ, როცა სახაზინო საოპერო თეატრში მსახურებდა, შავრაზმელებმა გაიტაცეს ერთ ყინვიან სუსხიან ზამთრის ღამეში ქალაქს გარედ ასე რომ კინაღამ შეიქნა მსხვერპლი მათი ავკაცობისა. მაშინდელი დაშავებული აქვს მარჯვენა ხელი, მაგრამ სულით იგივ მხნე, იგივ გულადია და დღესაც განაგრძობს თავისი საყვარელი ქართულ ევროპიული მუსიკის სამსახურის დიად საქმესა.

ქართველმა ხელოვან მუსიკოსებმა, რომელთაც განემსჭვალათ მადლობის გრძნობა ია კარგართლისადმი სამუსიკო მოღვაწეობისთვის, შუამდგომლობა აღსძრეს მთავრობის წინაშე, რომ გადახდილ იქმნეს მისი 35 წლის სამუსიკო მოღვაწეობის იუბილე, რომლის გამართვაც განზრახულია მოკლე ხანში.

ვისურვებ ია კარგარეთელისთვის კიდევ მრავალ ჟამიერ ჯანღონით სიცოცხლეს, რომ დაასრულოს და გამოაქვეყნოს სამუსიკო თხზულება, რომელსაც ამ ჟამად სწერს და რაც მე, როგორც მეგობარს, შემატყობინა.

პეტრე მირიანაშვილი.

## ჩვენი სკოლისათვის

### რუსული ენის სწავლების საკითხი

1917 წლამდე რუსული ენა ჩვენში გაბატონებული ენა იყო. დიდ მპყრობელი—რუსეთი—თავის ენას ახვევდა თავს რუსეთის ყოფილ იმპერიის ფარგლებში მოქცეულ ყველა ერებს და ასეთი გზით რუსეთი, სხვა და სხვა ეროვნებათა ასიმილიაციას—გარუსებას ხელს უწყობდა.

120 წლის სიგრძეზე ქართველი ხალხის ენა ყბად იყო აღებული.

ამ ტენდენციამ მრავალი ჭრილობა მიაყენა ქართულ ეროვნულ სხეულს და დააზიანა იგი.

გლეხმაც, როცა დაინახა მამაპაპათა ენა—სკოლიდან გამოძევებული, სასამართლოდან დევნილი და სადღაც სამზარეულოში ქართველ „ლაქიების“ ენად ქცეული თავის შვილს რუსული ენის ბეჯითად სწავლა მოითხოვა. ჯერ კიდევ 1801 წ. 13 სექტემბერს, ღენერალ კნორინგს ამ საქართველოს „უფროსობის წამწყდელს“ იმპერატორისაგან საიდუმლო ბრძანება ქონდა, რომ შეერთებულ ქართლ-კახეთის სამეფოში ქართული ენა ოფიციალ ენად არსად დაეტოვებინათ, სოფლურ საქართველოში მართლ-მსაჯულების დროს ქართული ენა დაეშვათ მხოლოდ „თარჯიმანის“ პირით, ამ ნიადაგზე დაბადებულ სიცრუე და ტრაგიკულ ამბებს ქართველი ერის მესაიდუმლე ალ. ყაზბეგი ჩინებულად გვიხატავს და გვიფერადებს. იმპერატორ ნაპოლეონის რუსეთზე გალაშქრების ხანებში იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა გამოსცა საიდუმლო დეკრეტი, რომლის ძალითაც მის მოხელეთ აღარ უნდა ეხმარათ სიტყვა საქართველო.

ამას შემდგომ თავისთავად ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ გაშლიდნენ ფრთებს და იპარპაშებდენ დონდუკოვ-კორსაკოვები, პასკევიჩები და პავლეს წყეული ეგზარხოსები.

თუ რა ფათერაკი, საშიშროება და უბედურება ელოდა რუსეთის პოლიტიკით საქართველოს, ამას მისი შვილნი ზედმიწევნით გრძნობდნენ, მაგრამ დათვი უკვე მოგვერიდა და საქმეს ვერ შველოდა ვერც 832 წლის პოლიტიკური რომანტიკოსთა—პოლიტიკური ცელქობა და ვერც [illegible] დიმიტრის ტფინის თხოვნა.

1917 წ. რევოლიუციამ რუსეთის ბატონობას ბოლო მოუღო, ქართული ენა სამზარეულოდან გამოვიდა და 1918 წ. ის სახელმწიფო ენათ გამოცხადდა.

თავის თავად იგულისხმება ამ ჟამიდან რუსული ენა ჩვენში გამოცხადდა უცხო ენათ და იგი უნდა ვასწავლოთ ისე, როგორც სხვა უცხო ენა.

მაგრამ რუსულ ენის ამ წესით სწავლებისათვის მეთოდი და გეგმა სჭირდება და სჭირია.

ეს კითხვა ეხლა მეტად მწვავედ სდგას.

სინამდვილეში კი რასა ვხვდებით?—უცხოურ ტენდენციას, რადგაც საიდუმლო სურვილს მგოსან აკაკის ზოგ ლამურებისას რომელნიც სცდილობენ „მფარველობა გაუწიონ“ რუსულ ენას და იგი „უფლებებში აღადგინონ“ ასეთი ტენდენცია უკვე გამოსჩანს ჩვენი ცხოვრების კუნჭულებიდან.

გარუსებული ინტელიგენტი, რომელიც ჰფიქრობს, რომ „ბედნიერება მხოლოდ რუსულის სწავლით მოიპოვება“ უკვე ამცნეს ქართველ გლეხს, რომ ამ ჟამად სკოლებში რუსული ენის სწავლება ისე არ არის როგორც წინად და საჭიროა მოითხოვოთ რომ თქვენმა ბავშვებმა რუსული ძველებურად ისწავლონო.

ასეთი მახინჯი ხალხი ჩვენს წიაღში თან და თან მრავლდება.

მაგრამ სკოლამ ხმა უნდა აღიმაღლოს და თავის ეროვნულ პოზიციებს შეეჩეს, ჩვენ სრულიად უნდა უარვყოთ ძველ სახელმძღვანელოებით რუსული ენის სწავლება. ქართული სკოლისათვის ჩვენ თვით უნდა შევადგინოთ მიზან შეფარდებული სახელმძღვანელოები რომელშიც ქართული რჩეული ნაწარმოებნი უნდა მოექცნენ თარგმანის სახით. შემდეგ კი თანდათანობით, ადვილ ენით, შესაფერ კილოთი და მეთოდით ჩვენ უნდა შევუდგეთ რუსეთის მწერლობის გაცნობას. გამოცემული უნდა იქმნას პატარა ტანის წიგნაკებათ ჩვენი სკოლისათვის შესაფერი მოთხრობები და აგრეთვე სუფთა წერის მასალები. მხოლოდ რუსული ენის გაკვეთილების მომატებაზე ლაპარაკიც შეუძლებელია, ის დრო რომელიც აქვს ამ ჟამად რუსულ ენას დათმობილი მიზან-შეწონილ მეთოდით და შესაფერ სახელმძღვანელოების შემწეობით სრულიად საკმარისია—მის შესასწავლად, ის პროგრამა, რომელიც ამ ჟამად აქვს ჩვენს სკოლას რუსული ენის სასწავლად სრულიად შეუფერებელი და მიუღებელია, მაგრამ ამაზე შემდეგომ.

ირ—ძე.

## თეატრი და ხელოვნება

### სახოპერო თეატრი.

#### „ტრავიატა“.

ამ ოპერის მოსმენა შეიძლება მხოლოდ იტალიელთა პირველ-ხარისხოვან მომღერლების შესრულებაში. მაგრამ ჭეშმარიტი ნიჭიერი ნაწარმოები არ ბერდება. ასეთია ეს ოპერაც, რომელიც ვერდიმ დასწერა 1853 წელს.

ტრავიატას შექმნით ვერდიმ ხომ რევოლიუცია მოახდინა საოპერო შემოქმედებაში. ტრავიატამდის ოპერის გმირად არ შეიძლება ყოფილიყო ჩვეულებრივი ადამიანები და შინაარსი არ შეიძლებოდა აღებულიყო ჩვენს გარშემო არსებულ ცხოვრების პროზიდან.

მაგრამ ვერდის არ ეშინოდა თავის ოპერისათვის აეღო ალექსანდრე დიუმას რომანი „ქალი კამელიით“ რომლის შინაარსია ჩვეულებრივი ცხოვრების დრამა: მდიდართა გმირობის მაგიერ—მიმდინარეობს პირველად სიყვარულ ნაგრძნობ ქალის ცხოვრება; ჯადოსნობისა და პათეთიკურ ფრაზების მაგიერ—ჰლიქი, წამლები და ექიმი. ერთი სიტყვით ჩვეულებრივი პროზა.

ვენეციის თეატრისათვის დაწერილი „ტრავიატა“ პირველივე დადგმაზე სასაცილოდ იქნა აგდებული გაბოროტებით შეხვედრილი. მაგრამ ახლა აგერ უკვე 70 წელიწადია მას შემდეგ და ოპერა არ სცილდება რეპერტუარს და ტფილისშიაც ერთ ერთი საყვარელი ოპერათაგანია.

მოქ. სტროსტინამ შეასრულა ვიოლეტა ვალერის (ტრავიატას) პარტია და გარეგანი მხარე მხატვრული იყო. მაგრამ... ხმა ღალატობს ნიჭიერ მომღერალს და შესრულებაში უფრო მეტი ხელოვნური ვიდრე სიმღერა. შკოლა შველის.

მუსიკალურად ასრულებენ თავიანთ პარტიებს მოქ. მოქ. სარაჯიშვილი და კრივანოვსკი.

პ. ბებუთოვი.

### ალ. ხუმბათაშვილი—იუბილი რუსთაველის თეატრში

კვირას, დეკემბრის 3-ს რუსთაველის თეატრი არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. მიუხედავ კ. მარჯანიშვილის დადგმა „ცხვრის წყარო“ და მიუხედავად იმისა, რომ პიესა მესამედ იყო წარმოდგენილი, თეატრის დარბაზში ტევა არ იყო.

როგორც ამბობენ უბილეთობის გამო აუარებელი ხალხი დაბრუნდა სახლში გულდაწყვეტილი.

დაწყების წინ აკადემიური თეატრების მმართველი ალ. წუწუნავა ამცნობს ხალხს, რომ დღეს ჩვენ გვესტუმრობს დიდი აქტიორი და საზოგადო მოღვაწე ჩვენი თანამემამულე ალ. სუმბათაშვილი. მთელი დარბაზი ტაშის ცემით და ოვაციებით ხვდება სტუმარს. უკანასკნელ მოქმედების შუა სურათში ქართველ მსახიობთ დიპლომატიურ ლოჟიდან სცენაზე გამოჰყავთ იგი და კვლავ ოვაციები... ტაში...

სუმბათაშვილი მოხდენილი სიტყვით მიმართავს დამსწრეთ და ქართულ დასს. უკანასკნელთა სახელით სიტყვას ეუბნება რეჟისორი აკ. ფაღავა.

მსახიობ ქალები ყვავილებით ამკობენ საყვარელ მასწავლებელს.

მოულოდნელად სცენაზე მსახიობთ გამოყავთ მგოსანი ი. გრიშაშვილი და კითხულობს ცნობილ თავის ლექსს: „ალექსანდრე სუმბათაშვილს“. რომელსაც ხალხი რამოდენიმეჯერ ტაშისცემით აწყვეტინებს.

მშვენიერი, მწყობრი წარმოდგენა. „ქართული თეატრი ფეხზე დადგა, გამოსწორდა“ გაისმის ხალხში.

წარმოდგენა გათავდა. გარეთაც აუარებელი ხალხი.

— როდის წავა კიდევ ეს პიესა,— კითხულობს საზოგადოება.

— შაბათს, მომავალ შაბათს და ამ იმედით ხალხი ნელნელა იშლება.

ჯანი.

### სახალხო სახლი „უგვირგვინო მეფენი“.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო სახლის ქართული დრამატიული დასის უკანასკნელი წარმოდგენები უფრო დამაკმაყოფილებელი ხდება მსმენელი საზოგადოებისათვის, ვიდრე ეს სეზონის პირველ დღეებში ხდებოდა.

შაბათს, დეკემბრის 1, პოლიტიკური განათლების დრამატიული დასის მიერ პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქმნა ალ. შანშიაშვილის ისტორიული დრამა „უგვირგვინო მეფენი“.

სანამ ამ პიესის შესრულების მხრივ ვიტყოდეთ რამეს საჭიროა ხან მოკლედ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება თვით პიესის ხასიათზე.—ავტორი ცდილა თავისებური ობიექტივობით გაერკვია საქართველოს მე 17 საუკუნის პირველი ნახევრის სახელმწიფოებრივი იდეა და გადაეწყვიტა გიორგი საკაძის პრობლემა. ამ პიესაში გადაშლილია საკაძის ცხოვრების პირველი პერიოდი მის საქართველოდან გაძევებამდის. ავტორი, დიდი მოურავის პოლიტიკას, გამართლების თვალსაზრისით უცქერის და პიესაც ამ მიზნის სრულყოფას ემსახურება.

მაგრამ აქ სავსებით არ იშლება მაყურებლის წინაშე ის დიდი კვანძი, ის ღრმა მიზეზები, რაც ისტორიულად გახდა მიზეზი გიორგი საკაძის და თავადების ანტაგონიზმისა. პიესაში ერთხელაც არ არის ნაჩვენები, სადაც იგრძნობოდეს მოურავის ბრძოლა ფეოდალური ინსტიტუტის დასანგრევად და მხევალი მიწის მფლობელობის ამოსაფხვრელად. მთავარი, ავტორის აზრით, რაც გახდა შადიმან ბარათაშვილის კომპანიის და გიორგის შუღლისა, იყო ის, რომ გიორგი საქართველოს სრულ გაერთიანებას მოითხოვდა. ეს [illegible] ისტორიულად გამართლებული და [illegible], [illegible] „[illegible]“ [illegible] —იმერეთის მეფე გიორგის მოსთხოვა შვილი ალექსანდრე ქართლ-კახეთის ტახტისათვის, რომელიც მამის სიკვდილის შემდეგ იმერეთის ტახტსაც დაიმკვიდრებდა და ამ რიგად საქართველო გაერთიანდებოდა. აქ ავტორის შეცდომა იმაში გამოიხატება, რომ ეს ზემოთ აღნიშნული ისტორიული გარემოება მოხდა გიორგი საკაძის მეორედ გაძევების წინ და არა მაშინ როცა გიორგი პირველად გაძევეს სპარსეთში. პირველი გაძევების მიზეზი კი, როგორც აღნიშნეთ, იყო გიორგის ბრძოლა თავგასული თავადების წინააღმდეგ, რომელიც ლიუდოვიკ 14 მსგავსად იძახდნენ „საქართველო (სახელმწიფო) ეს მე ვარო“.

ამათ გარდა პიესაში ადგილი აქვს მრავალ ისეთ მომენტს, რომლებიც ისტორიულად არავითარ შემთხვევაში არ არიან გამართლებული, ეს გარემოება კი, ვინც ამ ხანის ისტორია არ იცის, სრულიად შეცდარ წარმოდგენას შეუქმნის იმ დროის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

სისუსტე ავტორისა, იმაშიც მდგომარეობს, რომ ერთნაირი ლიტერატურული სტილით ალაპარაკებს ყველა მომქმედ პირს. (მაგ. ებრაელს).

შესრულების მხრივ, პიესის დადგმა იყო დამაკმაყოფილებელი. პიესის მთავარი ფიგურა შადიმან ბარათაშვილი, კარგი იყო, საერთო შთაბეჭდილების მიხედვით. მაგრამ ზოგი მომენტი სუსტად გადმოეცა, როგორც მაგალითად შურის გრძნობის განცდა—საკაძის მოღვაწეობის მიმართ და მლიქვნელი განზრახვების, შინა გრძნობების კარნახი, თავის განდიდებისა, საქართველოს მეფედ გახდომისა.

გიორგი საკაძის როლის აღმსრულებელს ფიზიკური გარეგნობა არ შეეფერებოდა საკაძის ფიზიონომიას. მართალია დიდი მოურავის სწორი და უტყუარი სურათი ჩვენ არ გაგვაჩნია (ის სურათი (საკაძისა), რომელიც ამ ჟამად ჩვენ მოგვეპოვება, გამოგზავნილი არის რომიდან პეტრე მახვილ თამარაშვილის მიერ და გადაღებულია დახატულობით. საკაძის ოსმალეთში ყოფნის დროს და ისიც მხოლოდ, მკერდის ზემოთ). მაგრამ სომხის ვაჭრის მსგავსი მოყვანილობა მას არას დროს არ ქონია, როგორც ეს ჰქონდა ამ საღამოს „გ. საკაძეს“. შესრულებული გვარიანად იყო ეს როლი. მხოლოდ აკლდა ტემპერამენტი.

მეფე ლუარსაბს ეტყობოდა, რომ ის იყო სხვისი სურვილების ამყოლ-დამყოლი. ნებისყოფის სისუსტე მას აშკარად ემჩნეოდა, მაგრამ ტრაგიკული მომენტები სისწორით ვერ განასახიერა. (მაგალითად, ის მომენტი, როდესაც მას აიძულებენ თეკლეს განშორებას. და აფიცებინებენ მოურავის „ღალატს“ „მას მეფობა სურსო“).

თეკლე უნაკლო იყო. მან სავსებით შესძლო უკანასკნელი მომენტების სწორი განსახება. ხოლო მისი კეკლუცობა მეფესთან პირველად შეხვედრის დროს, არ შეეფერებოდა კარჩაკეტილი აზნაურის ქალის ტრადიციას.

ქაიხოსროს ცნობის მოყვარეობა იმ დროს, როცა თავადების წრეებში სწყდებოდა საკითხი მოურავის ღალატისა, სუსტი იყო. არ ეტყობოდა დაკვირვების უნარი.

თავადების საერთო გამოსვლა, ზაზა ციციშვილის მეთაურობით, ვერ შეეფერებოდა ბუნებრივ სურათს.

საერთოდ პიესის ჩატარებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აუდიტორიაზე.

წესიერების დარღვევას, განგაშს, აურზაურს ბოლო არ ელება. ხშირად, ამის გამო, გაიგონებთ ხმებს: აქ წამოსვლა არაა ღირს. და მართლაც ასეთ გარემოებას შეუძლიან დაასუსტოს „სახალხო სახლის“ სიყვარული ხალხში.

გ. თ—ძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**ქალ. თბილისის აღმასკომის გადასახადთა ბიურო**

აცხადებს, რომ

**ოთხშაბათს 6 დეკემბერს დილის 12 საათზე აღმასკომის დარბაზში დანიშნულია**

**საჯარო ვაჭრობა**

აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა ს“ იჯარით გაცემის შესახებ.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროში მე-50 ოთახი საიჯარო მაგიდის გამგესთან. 2—2

ტირაჟი 1000
საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.